

"ოცნებამ" რეკლამაში 159 მილიონ დარბე მეტი დახარჯა - "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველ"




“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველმ” წარადგინა კვლევა ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებების მიერ PR-ღონისძიებებსა და რეკლამაში გაწეული დანახარჯების მზარდი დინამიკის შესახებ.

კვლევის თანახმად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2013 წლიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, საჯარი უწყებებმა PR- აქტივობებსა და რეკლამაში **98 მილიონ 480 ათას დარბე** მეტი დახარჯეს.

მესამე სექტორში განმარტავენ, რომ PR- სამსახურებში დასაქმებულთა ხელფასებში, რეკლამასა და სხვადასხვა პიარ აქტივობებში “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში მოსვლიდან, 2013 წლიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, **159 მილიონ 730 ათას დარბე** მეტი დაიხარჯა.


პირა მომსახურების და ჩაკვამის ხარჯები



როგორც “საერთაშორისო გამჭვირვალობაში” აცხადებენ, PR-აქტივობებისა და სარეკლამო ხარჯის მხრივ დიდი წილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე მოდის (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ღვინის ეროვნული სააგენტო და აწარმოე საქართველოში). ყველაზე მზარდი 2016 წელია, საპარლამენტო არჩევნების პერიოდი.

არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 2013-2017 წლებში მთავრობის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტში დასაქმებულების ანაზღაურებამ **12 მილიონ ლარზე** მეტი შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით 122 საჯარო უწყების მიერ პიარ სამსახურში დასაქმებულთა ანაზღაურებისთვის დახარჯული თანხის (**61,250,000 ლარის**) დაახლოებით მეხუთედია.

შთავრუმის ადმინისტრაციის სარეკლამო ხარჯები წლების მიხედვით



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 134 საჯარო უწყებიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2012 წლიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით პიარ სამსახურებისა და რეკლამის წარმოების, განთავსების, გავრცელების ხარჯის შესახებ.

“რეკლამასა და პიარ ღონისძიებებში დახარჯუბა თანხამ, ისევე როგორც პრესსამსახურებშიდასაქმებულ თანამშრომელთა ხელფასების ოდენობამ, 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში 28 მილიონ დარბე მეტი შეადგინა. როგორც ჩანს, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ხელისუფლებამ მაქსიმალურად მოახდინა საბიუჯეტო სახსრების მობიღიზაცია“, – ნათქვამია “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” კვრევამში.

კვრევამში ასევე მითითებურია ყველაზე მაღარბიუჯეტოიანი უწყებები-ტურიზმის ეროვნური ადმინისტრაცია, ღვინის ეროვნური სააგენტო და “ანარმოე საქართველოში”.

არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 2012 წელს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში 32 ადამიანი, 2016 წელს კი 74 ადამიანი მუშაობდა. კვლევის თანახმად, 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს ანაზღაურებაში დახარჯული თანხა **286,118 დარიდან 2,947,958 დარამდე, 90%-ით** გაიზარდა.

